სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი **2013 წლის 4 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 21 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. გეგეჭკორი არნოლდი 5. ელიაშვილი მერაბი 6. თუთბერიძე ბეჟანი 7. ომანაძე როლანდი 8. კერესელიძე დავითი 9. კვერენჩხილაძე გიორგი 10. პაპაშვილი თამარი 11. თურქიაშვილი შორენა 12. მაცაბერიძე მალხაზი 13. ჩოხელი ლევანი 14. ბარამიძე ცირა 15. ბრაჭული ირაკლი 16. გელოვანი ნანი 17. ლორია კახაბერი 18. პაიჭაძე თამარი 19. ახლოური ბექა 20. ჯღამაძე უჩა 21. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. დავითაშვილი ზურაბი 5. გერსამია მარიამი 6. შენგელაია ალექსანდრე 7. ნადარაია ელიზბარი 8. კოპალეიშვილი მაია 9. სურგულაძე ნუგზარი 10. მარშავა ქეთევანი 11. გალდავა გიორგი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. პირთათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტა
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის არჩევა
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა
4. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების დამტკიცება
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხი

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს აპარატის უფროსმა, დიმიტრი გეგენავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების შესახებ და აღნიშნა, რომ ვახტანგ ზივზივაძესა და გიორი მესხორაძეს შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი. თსუ-ს წესდების შესაბამისად, მათ უწყდებათ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსიც. აქედან გამომდინარე, აუცილებელია წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადასტუროს აღნიშნული ფაქტი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გიორგი მესხორაძესა და ვახტანგ ზივზივაძეს შეუწყდეთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობით საბჭოს წევრებს საბჭოს მდივნის თანამდებობაზე ასარჩევად წარუდგინა დიმიტრი გეგენავას კანდიდატურა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის შეცვლამდე საბჭოს მდივნის მოვალეობას ფუნქციურად საბჭოს აპარატის (სამდივნოს) უფროსი ითავსებდა. თსუ-ს წესდების თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის ფუნქცია საბჭოს ოქმების წარმოებაა, ამიტომაც უპრიანი იქნება, თუ მას იურიდიულადაც წარმომადგენლობითი საბჭოს აპარატის (სამდივნოს) უფროსი შეითავსებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას დიმიტრი გეგენავა.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ნუგზარ თოდუამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი. მისი განმარტებით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტზე შეიქმნა საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა. გადაწყვეტილების ასამოქმედებლად აუცილებელია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დანართში და დანართით განსაზღვრული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (კათედრების) ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი: „14. საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა“. (დანართი 3)

4. თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა ნათელა ლაცაბიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილება. მისივე განმარტებით, ახალი დადგენილებით ყველა ფაკულტეტზე სახელფასო დანამატი ერთნაირია, რაც შეეხება თანამდებობრივ

სარგოს, იგი განსხვავებული იქნება ფაკულტეტების მიხედვით, ასევე, რამდენიმე ფაკულტეტზე, სპეციფიკის გათვალისწინებით, შემოღებულ იქნა აკადემიური პერსონალის დამატებითი კატეგორიები. ამასთან, ეს დადგენილება დროებითი მოწესრიგებაა და ახალი საბიუჯეტო წლიდან მასში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - გიორგი კვერენჩხილაძემ და ირაკლი ბრაჭულმა, აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ალექსანდრე შენგელაიამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილება. (დანართი 4) 2. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) გაიცეს 2013 წლის პირველი ოქტომბრიდან.

5. თსუ-ს საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო თსუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილებები გამოწვეულია შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტებისათვის განსაზღვრული დაფინანსების ცვლილებით, ასევე, საერთაშორისო და ეროვნული გრანტების ნაშთების დაზუსტებით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ბეჟან თუთბერიძემ, ელგუჯა მექვაბიშვილმა, არნოლდ გეგეჭკორმა, ლევან ჩოხელმა, ქალბატონმა ინეზა გაგნიძემ, აკადემიური საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ნუგზარ სურგულაძემ, ალექსანდრე შენგელაიამ და გიორგი გალდავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში (დანართი 5)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სს იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2013 წლის 4 ოქტომბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველიშვილი ვლადიმერი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი
- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

სს)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2013 წლის 4 ოქტომბერი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- გალდავა გიორგი

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან
(ოქმი #10; 27.09.2013)

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის" სასწავლო–სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (კათედრის) შესახებ;

/დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ა. მიქაბერიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო განცხადება # 6293/23,25.09.2013, გვ.1.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ თსუ-ში წლების მანძილზე არსებობდა საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა, რომელიც ყოველგვარი ნორმატიული აქტის გარეშე გაუქმდა. განცხადების ხელმომწერნი: სრ. პროფ. რ. გველესიანი, ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი, ასოც. პროფ. ჯ. ხარიტონაშვილი, ასისტ. პროფ. თ. ათანელიშვილი, ასოც. პროფ. ი. გოგორიშვილი, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი, ასოც. პროფ. თ.ზუბიაშვილი მიზანშეწონილად მიიჩნევენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის აღდგენის საკითხს და ფაკულტეტის საბჭოსგან მხარდაჭერას ითხოვენ.

აზრი გამოთქვა: სრ. პროფ. რ. გველესიანმა, ასოც. პროფ. ე. სეფაშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ სრ. პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ი ჭილაძის, სრ. პროფ. მ. ტუხაშვილის, სრ. პროფ. ნ. თოდუამ.

კენჭისყრაზე <u>პირველ პუნქტად</u> დადგა საკითხი: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის" შექმნის შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;

წინააღმდეგი – 0

კენჭისყრაზე <u>მეორე პუნქტად</u> დადგა საკითხი: ეთხოვოს თსუ-ს რექტორს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნას ახალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - კათედრა, სახელწოდებით – „საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა."

2. აღნიშნული კათედრის აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფის მიზნით ეთხოვოს თსუ-ს რექტორს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. მიქაბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე

ამონაწერი სწორია

დადგენილება №112/2013
4 ოქტომბერი , 2013

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობები (დანართი № 1,დანართი № 2, დანართი № 3, დანართი № 4, დანართი № 5, დანართი № 6).
2. დანამატის წლიური საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის წელს დამტკიცებული უნივერსიტეტის ბიუჯეტით ფაკულტეტისათვის გათვალისწინებული დანამატის ოდენობას.
3. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრული ოდენობის შენარჩუნების პირობებში, აუცილებლობიდან გამომდინარე, ნებადართულ იქნეს აკადემიური პერსონალის ამ დადგენილებით განსაზღვრული დატვირთვის სასწავლო წლის ფარგლებში საშუალოკვირეული დატვირთვით შესრულება.
4. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს, აკადემიური პერსონალის მიერ თავის ვალდებულებათა სრულფასოვნად შესრულების მიზნით, პედაგოგიური დატვირთვით (საუდიტორიო საათები), უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყონ აკადემიური პერსონალი.
5. დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანსა და პროფესორს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგინონ დასაბუთებული წერილობითი ინფორმაცია დატვირთვის შეუსრულებლობის მიზეზებთან დაკავშირებით, თუ დამსაქმებელი (ფაკულტეტი) ვერ უზრუნველყოფს კონკურსის წესით არჩეულ აკადემიურ პერსონალს სავალდებულო მინიმალური პედაგოგიური დატვირთვით.
6. დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანსა და პროფესორს, დასაქმებულის (აკადემიური პერსონალი) მიზეზით სავალდებულო მინიმალური დატვირთვის შეუსრულებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგინონ დასაბუთებული წერილობითი ინფორმაცია დატვირთვის შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ.
7. დასაქმებულის (აკადემიური პერსონალი) ან დამსაქმებლის (ფაკულტეტი) მიზეზით სავალდებულო მინიმალური პედაგოგიური დატვირთვის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელფასის დაქვითვა განხორციელდეს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო, დანამატი, პრემია) 50%-დან, შეუსრულებელი პედაგოგიური დატვირთვის პროპორციულად (ერთი საათის საშუალო ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე).
8. დასაქვითი შრომის ანაზღაურების გაანგარიშება განხორციელდეს შესაბამისი სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე და გამოიცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტი.
9. აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობაზე – შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა ჰქონდეს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ეკისრება შესაბამის აკადემიურ პერსონალს.
10. თსუ ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში არ მიეცემათ „ა“ კატეგორიის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „ა“ და „ბ“ კატეგორიის, ხოლო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ კატეგორიის შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.
11. ცალკეული ფაკულტეტის შიგნით აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ცვლილება (დაბალი თანამდებობრივი სარგოდან მაღალ თანამდებობრივ სარგოზე გადასვლა, შესაბამისი პედაგოგიური დატვირთვის გათვალისწინებით), შესაძლებელია შესაბამის წელს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.
12. წინამდებარე დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის №7/2012 დადგენილება.

13. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) გაიცეს 2013 წლის პირველი ოქტომბრიდან.
14. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს.
15. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
16. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვლადიმერ პაპავა

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი, აკადემიკოსი

<u>დანართი №1</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს: პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 6-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 8-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 10-საათიანი სააუდიტორიო დატვირთვა და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1290 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1050 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 810 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას: პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1130 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 910 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 690 ლარი.

3.წინამდებარე დანართის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
ა) პროფესორი - თვეში 150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 120 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 100 ლარი.

დანართი №2

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 20-საათიან (10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 26-საათიან (14 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1430 ლარი;
გ) ასისტენტ - პროფესორი 1010 ლარი თვეში.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის სავალდებულო კვირაში 12-საათიან (6 საათი სააუდიტორიო, 6 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 22-საათიან (12 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო

გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1430 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1130 ლარი;
გ) ასისტენტ - პროფესორი 830 ლარი თვეში.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„გ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1000 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი 600 ლარი თვეში.

4. წინამდებარე დანართის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორი - თვეში 150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 120 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 100 ლარი.

დანართი №3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო, 8-საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 22-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა)პროფესორი - თვეში 3400 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2580 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1560 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1900 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1480 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 860 ლარი.

3.წინამდებარე დანართის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორი - თვეში 150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 120 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 100 ლარი.

<u>დანართი №4</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 20-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ- პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1730 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1260 ლარი

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1150 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 930 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 710 ლარი.

3.წინამდებარე დანართის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორი - თვეში 150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 120 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 100 ლარი.

დანართი N5

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1820 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1500 ლარი.

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2025 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1695 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1475 ლარი.

„გ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1875 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1545 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1225 ლარი.

- „ა“, „ბ“ და „გ“ კატეგორიის თანამდებობრივი სარგოები გაიცემა ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტით.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„დ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1650 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1320 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1000 ლარი.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას,პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ე“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 920 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 700 ლარი.

<u>დანართი N6</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 8 საათიან სააუდიტორიო და 8 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, ასოცირებული პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 10 საათიან სააუდიტორიო და 10 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას და ასისტენტ-პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 12 საათიან სააუდიტორიო და 12 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო პროექტებსა და გრანტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 3400 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი – თვეში 2880 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი – თვეში 1560 ლარი;

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ–პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათიან სააუდიტორიო, 8 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1300 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1100 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1035 ლარი.

3.წინამდებარე დანართის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა)პროფესორი - თვეში 150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 120 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 100 ლარი.

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი

დასახელება	ლარი
შემოსავლები	**70,269,580.7**
ნაშთი პერიოდის დასაწყისში (ეროვნული და საერთაშორისო გრანტების ჩათვლით)	**14,248,733.0**
სწავლის საფასური	**42,535,746.0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება	**5,246,440.0**
მ.შ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	**4,397,290.0**
მ.შ. სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს	**849,150.0**
სამეცნიერო - კვლევითი გრანტები	**7,638,661.7**
მ.შ.ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	**5,719,452.7**
მ.შ. საერთაშორისო გრანტები	**1,919,209.0**
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	**600,000.0**
მ.შ. ეკონომიკური საქმიანობა	**600,000.0**
მთლიანი ასიგნება	
სულ ასიგნება	**67900077**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	**2800**
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	**2453**
ხარჯები	**66303454**
შრომის ანაზღაურება	**27025248**
საქონელი და მომსახურება	**34613456**
გრანტები	**1300000**
სხვა ხარჯები	**3364750**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1596623**
ვალდებულებების კლება	
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**2369504**
სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა	
სულ ასიგნება	**50,371,083.0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	**1,560**
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	**2,300**
ხარჯები	**49,655,933.0**
შრომის ანაზღაურება	**23,579,546.0**
საქონელი და მომსახურება	**23,798,787.0**
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	2,277,600.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**715,150.0**
ვალდებულებების კლება	
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	

სულ ასიგნება	**4,931,883.0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	**1,240**
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	**153**
ხარჯები	**4,869,289.0**
შრომის ანაზღაურება	**3,445,702.0**
საქონელი და მომსახურება	**1,423,587.0**
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	
არაფინანსური აქტივების ზრდა	**62,594.0**
ვალდებულებების კლება	
,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''	
სულ ასიგნება	**849,150.0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	
ხარჯები	**849,150.0**
შრომის ანაზღაურება	
საქონელი და მომსახურება	
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	849,150.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	
ვალდებულებების კლება	
ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტები	
სულ ასიგნება	**11,747,960.6**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	
ხარჯები	**10,929,081.7**
შრომის ანაზღაურება	
საქონელი და მომსახურება	**9,391,081.7**
გრანტები	1,300,000.0
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	238,000.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**818,878.9**
ვალდებულებების კლება	
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**2,369,504.1**